

**COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების ბინაზე მართვის ინსტრუქცია**

1. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის (შემდგომ ტექსტსა და დანართებში - 112) პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, „სეზონური გრიპისა და COVID-19-ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის №01-150/ო ბრძანებით განსაზღვრული დაწესებულება/სადაზღვევო კომპანია (სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სამედიცინო დაწესებულების ან ოჯახის ექიმის მეშვეობით) (შემდგომში - ონლაინ კონსულტაციებში ჩართული დაწესებულება/ექიმი) ღებულობს შესაბამის (კოვიდ-დადასტურებული შემთხვევების) საქმეებს;
2. ონლაინ კონსულტაციებში ჩართული დაწესებულება/ექიმი უზრუნველყოფს საქმეების მიღებას **ყოველდღე 24 საათიან რეჟიმში**;
3. **ონლაინ კონსულტაციებში ჩართული დაწესებულება/ექიმი ვალდებულია:**
  - საქმის მიღებიდან არაუგვიანეს **10 წუთისა**, 112-ის პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, დაადასტუროს შესაბამისი საქმის მიღება;
  - საქმის მიღებიდან არაუგვიანეს **1 საათისა, მაგრამ არაუგვიანეს იმავე დღის 00:00სთ-სა დაიწყოს** სატელეფონო კონსულტაცია;
  - ინიციატორებთან სატელეფონო კონსულტაციები განახორციელოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროტოკოლის მიხედვით;
  - კონსულტაციის დროს პაციენტს მიაწოდოს მასთან საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში.
4. ონლაინ კონსულტაციებში ჩართული დაწესებულება/ექიმი ახორციელებს პაციენტის საწყის კლინიკურ შეფასებას და მდგომარეობის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას:
  - **პაციენტს ესაჭიროება სასწრაფო სამედიცინო დახმარება/ჰოსპიტალიზაცია ან საკარანტინე სივრცეში გადაყვანა**
    - ექიმი, სატელეფონო ზარის საშუალებით 112-ის ოპერატორს (სატელეფონო ნომერი 112 ან და სპეციალურად გამოყოფილ სატელეფონო ნომერზე), აცნობებს საქმის საიდენტიფიკაციო ნომერს, თარიღს, პაციენტის სახელსა და გვარს და ასევე, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადის საჭიროების მიზეზს;
  - **პაციენტი ექვემდებარება ბინაზე მეთვალყურეობას**
    - ინფორმაცია აღირიცხება 112-ის პროგრამული უზრუნველყოფის საშედეგო ფორმაში.

5. ექიმის გადაწყვეტილებით ბინაზე მეთვალყურეობისთვის დატოვებულ პაციენტებთან COVID-19-ის დადასტურებულ შემთხვევაში შემდგომი სატელეფონო კომუნიკაცია ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში:
  - უსიმპტომო პაციენტისთვის დამადასტურებელი სინჯის აღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;
  - მსუბუქი სიმპტომების მქონე პაციენტებისთვის დამადასტურებელი სინჯის აღებიდან მინიმუმ 10 კალენდარული დღისა და სიმპტომების ალაგებიდან დამატებით 3 უსიმპტომო დღის განმავლობაში.
6. სატელეფონო კომუნიკაციით მიღებული ინფორმაცია (დანართი N1.1-ის შესაბამისად) COVID-19-ის დადასტურებულ შემთხვევებში უნდა აისახოს 112-ის პროგრამული უზრუნველყოფის საშედეგო ფორმაში შემდეგი სახით\*:
  - უსიმპტომო პაციენტებზე - პირველ (მეთვალყურეობაზე აყვანა) და მე-11 (მეთვალყურეობიდან ჩახსნა) დღეს;
  - მსუბუქი სიმპტომების მქონე პაციენტებზე - პირველ დღეს (მეთვალყურეობაზე აყვანა), უსიმპტომო პერიოდის დაწყების პირველ დღეს და უსიმპტომო პერიოდის დაწყებიდან მე-4 (მეთვალყურეობიდან ჩახსნა) დღეს;
  - ოჯახის ექიმი ვალდებულია დამატებით შეავსოს საშედეგო ფორმა, თუ შეიცვალა პაციენტის სტატუსი.

*\*საშედეგო ფორმის შევსების გარდა, ექიმი ვალდებულია პაციენტის ყოველდღიური მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია (დანართი N1.1-ის შესაბამისად) ყოველდღიურად ასახოს ამბულატორიული მეთვალყურეობის ბარათში.*

7. თუ დამატებითი სატელეფონო კომუნიკაციის შეთხვევაში გამოიკვეთება სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადის ჩართულობის საჭიროება, ოჯახის ექიმი ატყობინებს 112-ს აღნიშნული პაციენტის თაობაზე, რომლის საფუძველზე 112 უზრუნველყოფს სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადის ჩართულობას.
8. ონლაინ კონსულტაციებში ჩართული დაწესებულება/ექიმი მეთვალყურეობას უწევს ასევე, კოვიდ-დადებით პაციენტებს, რომლებიც კოვიდ-კლინიკიდან ან კოვიდ-სასტუმროდან ეწერება ბინაზე შემდგომი მეთვალყურეობისთვის გამოჯანმრთელებამდე. ასეთ შემთხვევაში, კოვიდ-კლინიკის ან კოვიდ-სასტუმროს ექიმი ატყობინებს 112-ის ოპერატორს, რომელიც თავის მხრივ საქმეს გადასცემს ონლაინ კონსულტაციებში ჩართულ დაწესებულებას/ექიმს შემდგომი რეაგირებისათვის.
9. სატელეფონო კონსულტაციის უმთავრესი მიზანია, ყველა მოქალაქემ მიიღოს კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაცია და იგრძნოს სახელმწიფოს მაქსიმალური მზრუნველობა მათ ჯანმრთელობაზე.
10. პაციენტებთან ყველა კომუნიკაციაში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს თვითიზოლაციის წესების მკაცრი დაცვის აუცილებლობა და სახლში დარჩენის მოთხოვნა.

11. 112-ის პროგრამული უზრუნველყოფის შეფერხების ან ტექნიკურ ხარვეზთან დაკავშირებით ონლაინ კონსულტაციებში ჩართულ დაწესებულებას/ექიმს შესაძლებლობა აქვს 24 საათიან რეჟიმში დაუკავშირდეს 112-ის ტექნიკური დახმარების ჯგუფს, შემდეგ ნომრებზე - 577011102, 595 272 644; 577 011 101; 032 2 418 613.

## დანართი N1.1

1. ბინაზე მეთვალყურეობა - სიმპტომების გარეშე.
2. ბინაზე მეთვალყურეობა - მსუბუქი რესპირაციული სიმპტომები.
3. ბინაზე მეთვალყურეობა - მსუბუქი სხვა სიმპტომები.
4. ბინაზე მეთვალყურეობა - საჭიროებს კვლევას.
5. საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას - გადაეცა 112-ს.
6. საჭიროებს კარანტინში მოთავსებას - გადაეცა 112-ს.
7. ბინაზე მეთვალყურეობა - უარს აცხადებს ჰოსპიტალიზაციაზე.
8. დაკავშირება ვერ მოხერხდა.
9. დასრულდა ბინაზე მეთვალყურეობა / გამოჯანმრთელდა.
10. ჰოსპიტალიზებულია.
11. იმყოფება კარანტინში.
12. დუბლირებული საქმე.
13. არ საჭიროებს ონლაინ კონსულტაციებში ჩართული დაწესებულების/ექიმის მეთვალყურეობას.